ქ. თბილისში, პურის მოედანი N1/პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) შენობების რეკონსტრუქცია-ადაპტაციის კორექტირებული პროექტი

## კონსტრუქციული დასკვნა კორექტირებით გათვალისწინებულ სამუშაოებსა და მომიჯნავე შენობების უსაფრთხოების შესახებ

ქ. თბილისში, პურის მოედანი N1/პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) შენობების რეკონსტრუქცია-ადაპტაციის კორექტირებული პროექტი, ითვალისწინებს შენობის გაბარიტული ზომების მირგებას არსებულ წითალ ხაზებთან.

პროექტით შენობა ორსართულიანია, მანსარდის და სარდაფის სართულებით.

შენობის კონსტრუქციული სქემა დარჩა უცვლელი დაკორექტირდა შენობის ღერძბს შორის მანძილები და შენობის გაბარიტული ზომები.

საპროექტო შენობების სამეზობლოდ მდებარეობს ორი შენონა ასათიანის ქ. No3 და პურის ჩიხის No 1. პროექტით გათვალისწინებულია სამეზობლო შენობებთან 2,5 მეტრიანი კონსოლების მოწყობა.

ასათიანის ქ. No3-ის შენობა ორ სართულიანია სარდაფით. შენობიდან საპროექტო შენობისის საძირკვლის ფილამდე მანძილი შეადგენს 2 მეტრს და დაფუძნებუის ნიშნულების განსხვავება შეადგენს 1,8მ. არსებული გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით პროექტით გადაწყდა დამჭერი „შპუნტური“-ს კედლის მოწყობა.

პურის ჩიხის No1-ის შენობა ორსართულიანია სარდაფით. შენობიდან საპროექტო შენობისის საძირკვლის ფილამდე მანძილი შეადგენს 5 მეტრს და დაფუძნებუის ნიშნულების განსხვავება შეადგენს 4მ. არსებული გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით პროექტით გადაწყდა დამჭერი „შპუნტური“-ს კედლის მოწყობა.

ასათიანის ქუჩის, პურის მოედნის და პურის ჩიხის მხრიდანაც პროექტით გადაწყდა შპუნტური კედლის მოწყობა გრუნტის დასაჭერად.

**<u>დასკვნა</u>**: ქ. თბილისში, პურის მოედანი N1/პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) შენობების რეკონსტრუქცია-ადაპტაციის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია ყველა ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მომიჯნავე შენობების და სავალი ნაწილის მდგრადობა. კერძოთ: ქვაბულის გარშემო შპუნტური კედლის მოწყობა, საპროექტო შენობის საძირკვლის ფილაზე მოწყობა და საძირკვლებში არსებული შენობებიდან მოშორება მინიმუმ 2 მეტრით.

პროექტის კონსტრუქტორი გ. ცომაია


TSP 909
AOA 942

